საქართველოს ენერგეტიკის
სამინისტრო

MINISTRY OF ENERGY
OF GEORGIA

1600-04-2-201504280937

N 04/1600
28/04/2015

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციას“
სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“
სს „თელასს“

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსთან“, სს „თელასთან“, სს “ენერგო-პრო ჯორჯიასთან“ და სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციისთან“ თანამშრომლობს სოციალურად დაუცველი აბონენტების იდენტიფიცირებისა და მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის მონაცემების ერთიანი ბაზის შექმნაზე, შემდგომში, მოწყვლადი ჯგუფებისათვის სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი დახმარების გაწევის მიზნით. აღნიშნულ საკითხზე შექმნილია სამუშაო ჯგუფი, სადაც ჩართულნი არიან ყველა ზემოხსენებული ორგანიზაციის/უწყების წარმომადგენლები.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ შემდეგი სამუშაო შეხვედრის გამართვა დაგეგმილია მიმდინარე წლის 6 მაისს, 10:00 საათზე, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში (მის: სანაპიროს ქ. #2, იუსტიციის სახლის IV სართული), სადაც განხილულ იქნება სერვისის სატესტო ვერსია. ელ.ენერგიის სადიტრიბუციო კომპანიების მიერ მოსამზადებელი ცხრილის ნიმუში მოცემულია დანართის სახით. სამუშაო პროცესში შესაძლებელი უნდა გახდეს მოხმარებული ელ.ენერგიის ოდენობისა და დარიცხული თანხის იდენტიფიცირება სოციალური მომსახურების ბაზიდან. გთხოვთ, დაესწროთ აღნიშნულ სამუშაო შეხვედრას.

ასევე, გთხოვთ, მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებით ელ.ენერგიის სადისტრიბუციო კომპანიებსა და სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ შორის წარმართული ყველა ოფიციალური მიმოწერა ასლის სახით აცნობოთ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,
ირაკლი ხმალაძე

მინისტრის მოადგილე

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

საქართველო.თბილისი 0105. სანაპიროს ქ.2; ტელ.:235 78 28; 235 78 01; ელ.ფოსტა: mail@energy.gov.ge
2 Sanapiro str., 0105 Tbilisi, Georgia; Tel.: +995 32 235 78 28; +995 32 235 78 01; e-mail: mail@energy.gov.ge , web: www.energy.gov.ge